



UNITED NATIONS
INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION



AUSTRIAN ENERGY AGENCY

საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა და დისკუსია

ნებაყოფლობითი შეთანხმებები სამრეწველო სექტორთან – ევროკავშირის გამოცდილება ენერგოეფექტურობაში

თბილისი, 2019 წლის 3 ივლისი

ადგილი: საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების
სამინისტრო

დღის წესრიგის პროექტი



AUSTRIAN ENERGY AGENCY



UNITED NATIONS
INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION

ა. შესავალი

პროექტის “სასათბურე აირების გამოყოფის შემცირება საქართველოს სამრეწველო სექტორში გაუმჯობესებული ენერგოეფექტურობის საშუალებით” პროექტის მიზანია სასათბურე აირების ემისიის შემცირება საქართველოს სამრეწველო სექტორში ენერგოეფექტურობის საუკეთესო პრაქტიკის და ტექნოლოგიების ჩვენებისა და გავრცელებაში დახმარების აღმოჩენის გზით. ასეთი პრაქტიკაა მაგ. ენერჯის მართვის სისტემა და მოტორების სისტემების ოპტიმიზაცია; კანონმდებლობისა და ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერება სამრეწველო ენერგოეფექტურობისათვის და ფინანსური მექანიზმების ხელშეწყობა ინვესტიციების მოსაზიდად და წასახალისებლად. მრეწველობის ენერგოეფექტურობისათვის გარემო პირობების გაუმჯობესებასთან ერთად, პროექტი დაეხმარება პარიზის კლიმატის ცვლილების საერთაშორისო შეთანხმების შემდგომი ნაბიჯების განხორციელებაში. ამასთან დაკავშირებით, პროექტს სურს ხელი შეუწყოს თანამშრომლობას შესაბამის კარბონის მართვის პროგრამებსა და ორგანიზაციებს შორის, რათა შეიქმნას საკრედიტო პროგრამა და/ან ფინანსური მექანიზმები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას მონაწილე კომპანიების მიერ კარბონის დაფინანსების მობილიზებაში. პროექტის ტექნიკური დახმარება ძირითადად მოიცავს ბარიერების შემცირების ინტერვენციას სამ დონეზე:

კომპონენტი 1 - პოლიტიკის და ინსტიტუციონალურ დონეზე

პროექტი იმუშავებს სამრეწველო სფეროს ენერგოეფექტურობის პროფილის ამაღლებაზე პოლიტიკის შექმნისა და ინსტიტუციურ დონეზე იმისათვის, რომ გააძლიეროს ტექნიკური შესაძლებლობები და დაეხმარება პროგრამული ჩარჩოს შექმნაში, რომელიც ენერგოეფექტურობის მდგრად განვითარებას და კლიმატზე მრეწველობის სფეროს ზეგავლენის შერბილებას შეუწყობს ხელს.

პროექტის კომპონენტი 1-ის ფარგლებში ყურადღება კონცენტრირებულია აგრეთვე საქართველოს მთავრობის და მრეწველობის ენერგოეფექტურობის დაინტერესებული მხარეებისათვის დახმარებაზე საქართველოს პირველი ეროვნული ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში და ენერგოეფექტურობის დირექტივის 2012/27/EU ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის პროცესში.

საქართველოს პირველი ეროვნული ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის პროექტში ნებაყოფლობითი შეთანხმებები გათვალისწინებულია როგორც ჰორიზონტალური ღონისძიება. საქართველოს კანონის პროექტში ენერგოეფექტურობის შესახებ ნებაყოფლობითი შეთანხმებები გათვალისწინებულია 23(1) მუხლში, სადაც წერია:

„მრეწველობაში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო უფლებამოსილია გააფორმოს ნებაყოფლობითი შეთანხმებები საწარმოებთან. ნებაყოფლობითი შეთანხმებისას შესაძლებელია გათვალისწინებული იქნება ენერგომომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობას.“

კომპონენტი 2 - მრეწველობის ენერგოეფექტურობა ბაზრის დონეზე

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და სერვისების მოთხოვნისა და მიწოდების სფეროებზე. აღნიშნულისათვის შესაძლებლობების განვითარების ინდივიდუალური შერეული მიდგომა გამოიყენება - პირდაპირი დახმარება განხორციელების პროცესში და ახალი შეთავაზებების პილოტირება. პროექტი კონკრეტულად შემდეგ ამოცანებზე გააკეთებს აქცენტს:

- ა) ენერჯის მართვის სისტემის განხორციელებისა და სისტემისათვის მომსახურების

შეთავაზების გაზრდა (ISO 50001-ის შესაბამისად), როგორც საუკეთესო მიდგომა და მეთოდოლოგია, რომლითაც ენერგოეფექტურობის ინტეგრირება ხდება ყოველდღიურ საქმიანობაში, მათ შორის, საინვესტიციო გადაწყვეტილებები და მდგრადი და უწყვეტი ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფა.

ბ) მოტორ სისტემების ოპტიმიზაციაზე მოთხოვნის გაზრდა; ასევე, მოთხოვნის გაზრდა სამრეწველო ენერგოეფექტურობის საუკეთესო პრაქტიკასა და ტექნოლოგიებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად ზოგავენ ენერგიას და საბაზრო პოტენციალი გააჩნიათ საქართველოში.

კომპონენტი 3 - სამრეწველო ენერგოეფექტურობის დაფინანსება

პროექტის მიზანია მობილიზება გაუკეთოს და გააქტიუროს დაფინანსება ადგილობრივი თუ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისაგან და ასევე, უზრუნველყოს ინვესტიციები სამრეწველო საწარმოებიდან. პროექტი მჭიდროდ ითანამშრომლებს ქვეყნებთან, პარტნიორ მთავრობებთან და მონაწილე მხარეებთან, რათა გამოავლინოს ინოვაციური და სათანადო ფინანსური მექანიზმები და დახმარება გაუწიოს დიზაინის პროცესში.

პროექტის ინტერვენციები დამოკიდებული იქნება საერთაშორისო და ეროვნული ექსპერტული დახმარების კოორდინაციაზე სამრეწველო ენერგოეფექტურობის სფეროებში და კარბონის ფინანსირებაში პირდაპირი დახმარებით, ცოდნის აქტივებისა და ტრენინგის პროგრამების გაზიარებით, საპილოტე პროექტებზე და ენერგოეფექტურობის ფინანსირებისა და ინვესტიციების ხელშეწყობით. პროექტმა 7 წლის განმავლობაში დაახლოებით 50 000 ტონა CO₂ ექვივალენტი ემისია უნდა შემციროს.

ბ. სამუშაო შეხვედრის დანიშნულება

სამუშაო შეხვედრის დანიშნულებაა:

- სამრეწველო სექტორში ნებაყოფლობითი შეთანხმებების განხორციელების გამოცდილების გაზიარება და განხილვა
- ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით სამრეწველო სექტორის გამოწვევების, საჭიროებებისა და პრიორიტეტების მოსმენა
- საქართველოსთვის შესაძლო მიდგომების, ქმედებების და ვარიანტების განხილვა სამრეწველო სექტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის ნებაყოფლობითი შეთანხმებების განხორციელების მიზნით

გ. სამუშაო შეხვედრის მიზნები

სამუშაო შეხვედრის მიზნებია:

- შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება და მათ მიერ სამრეწველო სექტორში ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით ნებაყოფლობითი შეთანხმებებისა და მათი განხორციელების პირობების უკეთ გააზრება
- პოლიტიკის მიდგომებისა და ვარიანტების განსაზღვრა, რომლებიც იქნებოდა / შესაძლებელია ყოფილიყო ყველაზე შესაფერისი საქართველოსა და მისი სამრეწველო სექტორისთვის „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს მომავალი კანონის ეკონომიური და ეფექტური განხორციელებისთვის.

დ. მონაწილეები

სამუშაო შეხვედრა გათვალისწინებულია დაინტერესებულ პირთა შემდეგი ჯგუფებისთვის:

- i. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები პოლიტიკის შემუშავების საკითხებში;
- ii. ენერგოეფექტურობის შესახებ ევროკავშირის დირექტივის, აგრეთვე სამრეწველო სექტორზე გამიზნული შესაბამისი პოლიტიკისა და პროგრამების ტრანსპონირებაზე, განხორციელებასა და/ან მონიტორინგზე პასუხისმგებელი საქართველოს ეროვნული სამთავრობო ინსტიტუტები;
- iii. მსხვილი (მაგ. პირველი კატეგორიის) და საშუალო ზომის საწარმოები სამრეწველო და სხვა სექტორებიდან;
- iv. საქართველოს ენერგოეფექტურობის სამსახურები და ტექნოლოგიების პროვაიდერები;
- v. საქართველოს საკონსულტაციო და არასამთავრობო ორგანოები (მაგ. საქართველოს ენერგოეფექტურობის ცენტრი და სხვა);
- vi. საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს მხარდაჭერას ენერგოეფექტურობის სფეროში (მაგალითად, ენერგეტიკული გაერთიანება, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და სხვა).

ე. ფორმატი და განრიგი

სამუშაო შეხვედრა ჩატარდება ორი სესიის სახით, რომელიც შედგება პრეზენტაციებისა და შემდგომი დისკუსიებისგან. დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ დღის წესრიგი.

ვ. ჩატარების თარიღი და ადგილი

სამუშაო შეხვედრა გაიმართება 2019 წლის 3 ივლისს, ოთხშაბათს შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, სანაპიროს ქ. 2

სამუშაო შეხვედრის ორგანიზება

მონაწილეობის დადასტურება

გთხოვთ, დაადასტუროთ თქვენი მონაწილეობა არაუგვიანეს 2019 წლის 25 ივნისისა, ელ-ფოსტის გაგზავნით შემდეგი საკონტაქტო პირის მიმართ:

ქ-ნი ნინო ლაზაშვილი, პროექტის ეროვნული მენეჯერი, UNIDO

N.LAZASHVILI@unido.org

გთხოვთ, ელ-ფოსტაში მიუთითოთ:

- სრული სახელი, გვარი და თანამდებობა

- ორგანიზაცია / კომპანია
- საკონტაქტო მისამართი, ელ-ფოსტა და ტელეფონის ნომერი
- არასავალდებულო: მოლოდინი სამუშაო შეხვედრისა და დისკუსიების მიმართ
- არასავალდებულო: შეკითხვები ნებაყოფლობით შეთანხმებებთან დაკავშირებით, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას სამუშაო შეხვედრაში

სამუშაო ენა

სამუშაო შეხვედრის განმავლობაში პრეზენტაციები, დისკუსიები და განხილვები ჩატარდება ინგლისურ ენაზე. უზრუნველყოფილი იქნება სინქრონული თარგმანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე.

საკონტაქტო პირები

საორგანიზაციო და ლოჯისტიკის საკითხებზე

ქ-ნი ნინო ლაზაშვილი
 პროექტის ეროვნული მენეჯერი
 ენერგო სისტემებისა და ინფრასტრუქტურის განყოფილება
 UNIDO
 მობილური: +995 599 699 757
 ელ-ფოსტა: N.Lazashvili@unido.org

ტექნიკურ და არსებულ საკითხებზე

ქ-ნი გაბრიელ ბრენდლი
 უფროსი ექსპერტი
 სამრეწველო და კომერციული შენობების განყოფილება
 ავსტრიის ენერგეტიკის სააგენტო
 ტელ.: +43 (0)1 586 15 24-185 |
 მობილური: +43 (0)664 618 02 89
 ელ-ფოსტა: gabriele.brandl@energyagency.at

ბ-ნი მარკო მატეინი
 ინდუსტრიული განვითარების ოფიცერი
 ენერგო სისტემებისა და ინფრასტრუქტურის განყოფილება
 UNIDO
 ტელ.: +43 (0)1 26026 4583
 ელ-ფოსტა: M.Matteini@unido.org